ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 15-51

6 მარტი
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-16 (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 16/01/2018, სარეგისტრაციო კოდი 010260030.35.101.016473) დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარების მიმართულებით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ სამსახურად განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, ხოლო მიმდინარე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით უფლებამონაცვლედ განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-16 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულება, რომლის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი და თანაბარი ურბანული განვითარების უზრუნველყოფა, ინტეგრირებული, ინკლუზიური და უსაფრთხო საქალაქო გარემოს ფორმირება. ამავე დადგენილებით, დადგენილების ამოქმედებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარების მიმართულებით მიმდინარე საქმეების დასრულებაზე უფლებამოსილ სამსახურად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური. გარდა აღნიშნულისა, დასარეგულირებელია ასევე მიმდინარე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით უფლებამონაცვლეობის საკითხი. შესაბამისად, დადგენილების პროექტით მიმდინარე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით უფლებამონაცვლედ განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.